ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
დავით კვაჭანტირაძე – კოლეგიის წევრი
ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.05.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/13

შეკითხვა:

ბრალდებულ A-ს დანიშნული ყავდა სახაზინო ადვოკატი -B, ბრალდებულ A-ს შვილის სურვილით საქმეში ჩაერთო ადვოკატი C, რომელმაც პროკურორს მოსთხოვა საქმეში არსებული მასალების გადმოცემა. პროკურორმა გადასცა ადვოკატ C-ს საქმეში არსებული მასალები, რაზედაც გაკეთდა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, ამავე დროს პროკურორმა შესაბამის ოქმზე ხელმოწერით განახორციელა ადვოკატ C-ს მიმართ გაფრთხილება გამოძიების მონაცემების გახმაურების აკრძალვის შესახებ, მეორე დღეს ადვოკატმა C-მ მონაწილეობა მიიღო აღკვეთი ღონისძიების სასამართლო პროცესზე.

ამის შემდგომ საქმეში ჩაერთო ადვოკატი D, ადვოკატი C საქმეში აღარ მონაწილეობდა.

ადვოკატმა C-მ მიიღო ბრალდებულის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ის ითხოვს ადვოკატმა C- მ იაწოდოს საქმის მასალები შესაბამის საპატიმრო დაწესებულებაში.

ადვოკატი-C დაუყოვნებლივ იმ დღესვე დაუკავშირდა ბრალდებულის ადვოკატ D-ს და ატყობინებს აღნიშნულს. ადვოკატი D განცხადების შესახებ გებულობს ადვოკატ-C-სგან, ადვოკატმა C-მ ადვოკატ D-ს ჰკითხა მას სჭირდებოდა თუ არა საქმის მასალები. ადვოკატმა D-მ განუცხადა, რომ მას საქმის ყველა მასალები აქვს და ბრალდებულიც იცნობს საქმის მასალებს.

იმავე დღეს ადვოკატი C დაუკავშირდა შესაბამის პროკურორს ტელეფონის მეშვეობით და ჰკითხა ვრცელდებოდა თუ არა დღევანდელი მდგომარეობით მის მიმართ აღნიშნული

აკრძალვა. პროკურორმა ადვოკატ C-ს უპასუხა - დიახ, თქვენ აკრძალული გაქვთ გამოძიების მონაცემების გახმაურება და ამის შესახებ ყველა გაფრთხილებული მყავსო.

ადღევანდელი მდგომარეობით ადვოკატი C ბრალდებულის ადვოკატს არ წარმოადგენს.

ადვოკატ C-ს აქვს ინფორმაცია, ბრალდებულის ადვოკატ D-სგან, რომ ბრალდებული საქმის მასალებს იცნობს, ამავე დროს ადვოკატ C-ს აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ციხეში ბრალდებულთან შედის სხვა ადვოკატი E, რომლის ინეტერესია საქმის მასალების გაცნობა. ადვოკატი C დარწმუნებულია, რომ ბრალდებულ A-სთვის მასალების გადაცემით, აღნიშნული დოკუმენტაცია ხელთ ჩაუვარდება ადვოკატ E-ს და შესაძლებელია სხვა პირსაც.

გთხოვთ, მაცნობოთ აღნიშნული მასალების გადაცემით დაირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკა ადვოკატ C-ს მიერ?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს.“

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ რეკომენდაციის მოთხოვნის მიზნით დასმული შეკითხვის განხილვის წესებს, რომლის მიხედვითაც, ეთიკის კომისია უფლებამოსილია არ გასცეს რეკომენდაცია იმ რეგისტრირებულ შეკითხვაზე, რომელიც შემხებლობაშია კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმესთან.

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვა არსებითად ეხება ეთიკის კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს - № 043/13, რომელშიც ერთ-ერთ მხარეს მოცემული შეკითხვის ავტორი წარმოადგენს. კერძოდ, საჩივარი შემოტანილია აღნიშნული რეკომენდაციის მომთხოვნი ადვოკატის წინააღმდეგ. აღნიშნულ შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები ეხება საჩივრის ავტორის მიერ აღწერილ ადვოკატის ქმედებებს.

გადაწყვეტილება

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუქტის საფუძველზე, ეთიკის კომისია არ გასცემს რეკომენდაციას აღნიშნულ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /დავით კვაჭანტირაძე/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/